

პროექტი InnoCENS

„ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“

ERASMUS+ CBHE PROJECT# 573965-EPP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP

პროექტი InnoCENS - „ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“ - მიზნად ისახავს შემდეგს:

მიზანი 1. - ინოვაციების ცენტრების დაფუძნება ყველა პარტნიორ უნივერსიტეტში (ინოვაციების ცენტრის მიზნები დეტალურად გაწერილია ცენტრის დებულებაში);

მიზანი 2. - ორი სილაბუსის შექმნა და იმპლემენტაცია: I. „ინოვაციური სისტემები“ და II. „მეწარმეობა ინჟინრებისთვის“ (ამ მიზნით საპილოტე პროგრამა ხორციელდება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტებზე);

მიზანი 3. - ტრენერების მომზადება ინოვაციური პედაგოგიკის და ინოვაციური კომპეტენციების განვითარებასა და მეწარმეობითი უნარების განვითარებაში. ამ მიზნით უკვე ჩატარდა 4 ტრენინგი პარტნიორ უნივერსიტეტებში, სადაც შესაბამისი მომზადება გაიარა სტუ-ს აკადემიური პერსონალის ექვსმა წარმომადგენელმა, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები და ისინი უკვე მზად არიან მიზნობრივი აქტივობები განახორციელონ სტუ-ში;

მიზანი 4. - სწავლების ხარისხის შეფასების ინოვაციური მეთოდების, ინოვაციური პედაგოგიკისა და ინოვაციური კომპეტენციების შეფასების მექანიზმის დანერგვა. ამ მექანიზმის დანერგვის მიზნით პროექტის პარტნიორი ტურკუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი პროექტის პარტნიორებს სთავაზობს გამოყენებული იქნას **FINCODA ინოვაციური ბარომეტრის** შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შექმნილია ევროკავშირის მიერ, ევროპის 15-მდე აკადემიური და ბიზნესორგანიზაციების პარტნიორობის მეშვეობით და აპრობირებულია ამ ორგანიზაციებში; (FINCODA

ინოვაციური ბარომეტრის შესახებ დეტალური პრეზენტაცია მომზადებული და წარმოდგენილია);

მიზანი 5. - ინოვაციების ცენტრის ფარგლებში განვითარდეს სერვისები, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ პროექტის ძირითადი ფაზის შემდეგ ინოვაციების ცენტრმა შეძლოს მდგრადობის შენარჩუნება და დამოუკიდებელი ფუნქციონირება და, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში ადასრულოს საუნივერსიტეტო და ქვეყნის მაშტაბით არსებული ინოვაციური სტრატეგიის ზოგიერთი კომპონენტი.

პროექტის ფარგლებში, ასევე, შეძენლია სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა რომელიც დაეხმარება სტუ-ს ინოვაციების ცენტრს კვალიფიციური ფუნქციონირებისათვის, მათ შორის ლეკტორები, „სმარტ“ დაფები, სასწავლო პროგრამები და ა.შ.

ბენეფიციარები და სამიზნე ჯგუფები:

პროექტს ექნება გავლენა პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში და მათ გარეთ ინსტიტუციურ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე.

- მთლიანად პარტნიორი უნივერსიტეტები;
- სტუდენტები (პარტნიორ ქვეყნებში და მათ გარეთ);
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი (პარტნიორ ქვეყნებში და მათ გარეთ);
- ბიზნესის, სამეწარმეო და ინდუსტრიის სფეროს წარმომადგენლები;
- სხვა დაინტერესებული მხარეები და ეკონომიკური პარტნიორები.

პროექტის ხანგრძლივობა:

3 წელი – 15 ნოემბერი, 2017 - 15 ნოემბერი, 2019

InnoCENS კონსორციუმი:

პროექტის კონსორციუმი შედგება 13 ინსტიტუციისგან, რომელთა შორის არიან: უნივერსიტეტები და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები შვედეთიდან, ესპანეთიდან, ფინეთიდან სომხეთიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან და საქართველოდან.



[სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი - KTH](#) (შვედეთი) –
პროექტის კოორდინატორი



[ტურკუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი - TUAS](#) (ფინეთი)



UNIVERSITAT
POLITÈCNICA
DE VALÈNCIA

[ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი - UPV](#) (ესპანეთი)



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

[საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო](#) (საქართველო)



[საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სტუ](#) (საქართველო)



[ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ბსუ](#) (საქართველო)

არასამთვრობო ორგანიზაცია SMART Consulting (საქართველო)



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



[სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტი - NPUA](#) (სომხეთი)



[სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი - NUACA](#) (სომხეთი)



[ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი - BSU](#) (ბელარუსის რესპუბლიკა)



[ბრესტის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი - BrSTU](#) (ბელარუსის რესპუბლიკა)



[ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ალმატის უნივერსიტეტი - AUPET](#) (ყაზახეთი)



[მ.ხ. დულატის სახელობის ტარაზის სახელმწიფო უნივერსიტეტი - TarSU](#) (ყაზახეთი)

მეტი დეტალური ინფორმაცია InnoCENS პროექტისა და მისი აქტივობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ [InnoCENS ოფიციალურ ვებსაიტზე](#).



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union